

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1922

SCIENTIA POTESTAS EST.



საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია 2022-2028 წწ.

თბილისი 2022

ს ა რ ჩ ე ვ ი

პრეამბულა.....	
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები.....	
SWOT ანალიზი.....	
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები.....	
სტრატეგიული მიმართულება 1 - ორგანიზაციული განვითარება.....	
სტრატეგიული მიმართულება 2 - ხარისხის მართვა.....	
სტრატეგიული მიმართულება 3 - სწავლა-სწავლება.....	
სტრატეგიული მიმართულება 4 - კვლევა და ინოვაცია.....	
სტრატეგიული მიმართულება 5 - ინტერნაციონალიზაცია.....	
სტრატეგიული მიმართულება 6 - სტუდენტური ცხოვრება.....	
სტრატეგიული მიმართულება 7 - სოციალური პასუხისმგებლობა.....	

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა:

საქართველო თავისი კულტურით და პოლიტიკური მისწრაფებებით საკუთარ თავს ყოველთვის ერთიანი ევროპული სივრცის ნაწილად განიხილავდა. ეს მისწრაფება დღესაც გაცხადებულია საქართველოს უმთავრეს მიზანში: გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი, ანუ იმ დემოკრატიული სივრცის წარმომადგენელი, რომელიც თანასწორობისა და სამართლიანობის უნივერსალურ პრინციპებზეა დაფუძნებული.

მხოლოდ ასეთი საზოგადოებრივი სივრცე ხსნის შესაძლებლობებს, რომ დაცული იქნეს არამარტო ნებისმიერი სოციალური, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის, არამედ თითოეული პიროვნების/მოქალაქის საფუძველმდებარე თავისუფლებები და აქედან გამომდინარე, ინტერესები. ასეთ სივრცეში ადამიანები თავისუფალ, სამართალცნობიერ და ზნეობრივ პიროვნებებად ყალიბდებიან, სადაც ისინი, როგორც მოქალაქეები, ერთმანეთს თავისუფალ და თანასწორ პიროვნებებად აღიარებენ.

ჩვენი ქვეყნის, როგორც დემოკრატიული სამყაროს ნაწილის მომავალი დამოკიდებულია მოქალაქეებისათვის/პიროვნებებისათვის, ისეთი სასწავლო-აღმზრდელობითი გარემოს შექმნაზე, რომელშიც ცივილიზებული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ღირებულებები - თავისუფლება და ღირსება - იქნება განხორციელებული. მსგავსი გარემოს შექმნა, განვითარება და გავრცელება კი დიდწილად თავისუფალ აკადემიურ სივრცეს და ავტონომიურ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია. რადგან, ჩვენი ტრადიციიდან და თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე ჩვენი მისწრაფებაც ამ სივრცეში ინტეგრირებაა, აკადემიური გარემოც მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ევროპულ სტანდარტებთან.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გახდეს ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტი ინოვაციების მიმართულებით. შესაბამისად, მისთვის უმნიშვნელოვანესია იმ ძირითადი პრინციპების განხორციელება, რომელსაც ევროპის ინოვაციური უნივერსიტეტები ნერგავენ. მათ შორისაა:

- „სწავლა და სწავლება კვლევადან გამომდინარე“ - პრინციპი, რომელიც პრაქტიკულად ყველა ევროპული უნივერსიტეტის სლოგანი გახდა და რომელიც ასევე უნივერსიტეტის მოქმედების და რეფორმების განმსაზღვრელია;
- შედეგებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირებული რესურსების განაწილება, რომელიც კვლევებს დამატებით მოტივაციას და შესაძლებლობებს შეუქმნის როგორც შიდა, ისე საერთაშორისოდ აღიარებული დონორების მხრიდან დაფინანსებისთვის;
- მმართველობის დაბალანსებული სტრუქტურის შექმნა (იმართება რექტორატიდან), რომელიც ეხმარება კვლევით ინსტიტუტებს ფაკულტეტების სასწავლო პროცესზე კი არ იყვნენ დამოკიდებულნი, არამედ თვითონ უწყობდნენ ხელს სასწავლო პროცესის მუდმივად ინოვაციურ განახლებას, რადგან ინსტიტუტების ფუნქციონირება უნდა ეფუძნებოდეს ინოვაციური პროექტებსა და კონცეფციებს. ეს ნიშნავს ურთიერთთანამშრომლობასა და შეთანხმებაზე ორიენტირებული კომუნიკაციის კულტურის შექმნას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ინტერდისციპლინურობას/ მულტიდისციპლინურობას და ტრანსდისციპლინურობას, სწრაფი და ეფექტური პანელების შექმნას.

ამდენად, ჩვენი სწრაფვა ხარისხისაკენ და მუდმივი ძიება მართვის პროცესების გაუმჯობესებისათვის, უნივერსიტეტისათვის სიახლეს კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ მის საფუძველშივე ცხადად უნდა იყოს მოცემული. ხარისხის მართვა ევროპულ უნივერსიტეტებში სწორედ ამ ტრადიციის წინაშე ვალდებული და მასზეა დაფუძნებული, რაც ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, როგორც ერთ-ერთი ევროპული უნივერსიტეტის, მოქმედების პრინციპია.

მოცემული პრინციპებიდან გამომდინარე, ჩვენი უნივერსიტეტი ხარისხის მართვის ქვეშ მოიაზრებს დამხმარე საშუალებას კვლევისა და სწავლა-სწავლების საფუძველმდებარე მიზნებისათვის. ამ მიზნით უნივერსიტეტის თითოეული

სტრუქტურა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა იმ ინსტრუმენტით, რომელიც მას მიღწევების დაგეგმვაში, შესრულებაში, ხარისხის უზრუნველყოფასა და მდგრად განვითარებაში დაეხმარება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - მეცნიერების, განათლების, კულტურის უდიდესი ტრადიციების კერის, მისიაა მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, კვლევების, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხედვა:

- სტუ-ის ხედვა დაფუძნებულია ქართულ და დასავლურ საუნივერსიტეტო კონცეპტუალიზებაზე რომელიც ეყრდნობა ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლების, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, სწავლებისა და კვლევის პროცესის ინტერნაციონალიზაციას, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება საერთაშორისო გამოცდილების არა მარტო პასიური გაზიარება, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო მიღწევებში თანასწორუფლებიანი მონაწილეობა;

- სტუ-მა დღევანდელ საუნივერსიტეტო სივრცეში დაიმკვიდროს საკუთარი უნიკალური ადგილი, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ჰუმანურობის ეთოსის ჰიბრიდულ მოდელზე;
- ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ინტელექტუალური ბაზისის შექმნა;
- მაღალი სტანდარტის კვლევისა და სწავლების განხორციელებისათვის ახალი ორგანიზაციული ერთეულების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ინსტიტუციური ქსელების ჩამოყალიბებას როგორც რეგიონულ, ისე ინტერნაციონალურ დონეზე. ახალი ორგანიზაციული ერთეულებია სადოქტორო და სამაგისტრო ფაზის ფაკულტეტათაშორის საუნივერსიტეტო სტრუქტურები (გრადუირებულთა სკოლები და კოლეგიები). მაღალრეიტინგულ მკვლევართა ჯგუფები - „ექსელენს კლასტერები“ (*Excellent Cluster*) და ცოდნის ტრანსფერის ხელშემწყობი სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფს კვლევის ახალი თემების იდენტიფიკაციას, მათ სისტემურ ხელშეწყობას და გაძლიერებას;
- ტრადიციული ორგანიზაციული ერთეულების (ფაკულტეტი, დარგობრივი დეპარტამენტი, სხვადასხვა ტიპის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვ.) მოდერნიზაცია და გაძლიერება, რადგან დარგობრივი და თემატური განვითარების მოთხოვნა, რომელიც აუცილებელია უსდ-ების გამართული ფუნქციონირებისათვის, სწორედ ამ სტრუქტურებში ხორციელდება. იმავე დროულად, ტრადიციული სტრუქტურები მაქსიმალურად პოზიტიურად უნდა თანამშრომლობდნენ ახალ სტრუქტურებთან, რაც მეცნიერების განვითარების კომპლექსურობისა და დინამიკურობის წინაპირობაა. ასე რომ, მატრიცული ორგანიზაციის სხვადასხვა დონე და ვარიანტები თანამედროვე უნივერსიტეტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია;
- ინტერდისციპლინური სწავლებისა და კვლევის განვითარება, რაც ხელს უწყობს ცოდნის ახალი ველის იდენტიფიცირებასა და განვითარებას.

შესაბამისად, აუცილებელია ძველი და ახალი აკადემიური სტრუქტურების მდგრადობის შენარჩუნება და ურთიერთკოორდინაცია.

ღირებულებები:

- უნივერსიტეტის ავტონომია ეფუძნება უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა ერთიანობას და მოიცავს როგორც გარეშე ფაქტორებისაგან დამოუკიდებლობას, ისე შიგა ავტონომიურობას;
- სტუ თავისუფალია სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური ჯგუფებისა და ორგანიზაციების გავლენისაგან, მაგრამ ტოლერანტულად არის განწყობილი მათ მიმართ. ყოველი ამ ჯგუფის წარმომადგენელი თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ახორციელებს აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას მის წიაღში;
- აკადემიური თავისუფლება არის იდეა, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების იმ სახეებს და შესაბამის პასუხისმგებლობათა რიგს, რომლებიც განსაზღვრულია უმაღლესი სასწავლებლების, მათი მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და სტუდენტებისთვის და, უპირველესად, კვლევის, სწავლებისა და სწავლის პროცესის თავისუფლებას გულისხმობს. მეცნიერების პრიორიტეტულ სფეროებში ცოდნის საზღვრების გაფართოება უნდა ხორციელდებოდეს აკადემიური თავისუფლების, პროფესიული ეთიკისა და კოლეგიალურობის პრინციპების დაცვით;
- სტუ-სათვის, როგორც თავისუფალი აკადემიური სივრცისათვის, აუცილებელი კომპონენტია სწავლის, სწავლებისა და კვლევის ერთიანობა, რაც გულისხმობს იმას, რომ სწავლისა და სწავლების პროცესში მუდმივად ვითვალისწინებთ უახლესი კვლევის შედეგებს, რაც სწავლას უფრო ღრმასა და მრავალფეროვანს გახდის, ასევე უფრო მასშტაბურ საზოგადოებრივ დატვირთვას შესძენს სამეცნიერო-კვლევით მიღწევებს, ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევის

შედეგების ნაყოფიერ გამოყენებას საზოგადოებრივი დანიშნულებით და მათ ადაპტაციას სასწავლო პროგრამაში დასანერგად. ამავე დროს სტუდენტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული კვლევის პროცესების გაანალიზებაში;

- სტუ არის ადგილი სადაც საზოგადოება სწავლობს განუსაზღვრელ და არაპროგნოზირებად პირობებში ყოფიერებას, რასაც დღევანდელი ცხოვრება გვთავაზობს, გამოწვევების სახით „პოსტთანამედროვეობის“ ეპოქაში;
- თანასწორობის პრინციპი გულისხმობს სტუ-ის ყველა წევრის თანასწორობას სტუ-ის მართვასა და სასწავლო-კვლევითი პროცესის ორგანიზებაში. დაუმუშავებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. ამ პრინციპის რეალიზება ძირითადად ხდება სტუ-ის წევრების მიერ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირებაში თანასწორი მონაწილეობით.
- გამჭვირვალობის პრინციპი გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობის, მათ შორის ფინანსური საქმიანობის სრულ გამჭვირვალობას. თავის საქმიანობაში სტუ ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე.

(S)trenght - ძლიერი მხარეები	(W)eaknesses - სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • დიდი ტრადიციები და ხანგრძლივი ისტორია განათლების სფეროში; • უნივერსიტეტის ცნობადობა; • ერთობლივი პროგრამები; • ორმაგი აკადემიური ხარისხის პროგრამები; • საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვანი არჩევანი; • მდიდარი საბიბლიოთეკო რესურსები, ბიბლიოთეკის უნიკალური წიგნადი ფონდი; • მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი; • უწყვეტი განათლების შესაძლებლობები; • ადგილობრივ და საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო პროექტებსა და პროგრამებში ინტენსიური ჩართულობა; • საინჟინრო მიმართულების დარგებში წამყვანი ინსტიტუცია; • მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა. 	<ul style="list-style-type: none"> • ფინანსური რესურსების ნაკლებობა; • მოძველებული ინფრასტრუქტურა; • საუნივერსიტეტო-კვლევითი საქმიანობის არასაკმარისი ინტენსივობა (ფუნდამენტური კვლევა, გამოყენებითი კვლევა); • აკადემიური და დამხმარე პერსონალის მაღალი საშუალო ასაკი; • სტუდენტური საერთო საცხოვრებლის არარსებობა; • სოციალური სივრცეების ნაკლებობა.
(O)pportunities - შესაძლებლობები	(T)hreats - საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • საგანზე ორიენტირებული სწავლებიდან თემაზე ორიენტირებულ სწავლებაზე გადასვლა; • მართვის თანამედროვე (ISO) სტანდარტების დანერგვა; • სამეცნიერო-კვლევითი კლასტერის დაარსება; • საერთაშორისო პროგრამებსა და გაცვლით პროექტებში მონაწილეობის ხარისხის ამაღლება; • ინოვაციური ლაბორატორიების ბაზაზე სტუდენტური პროექტების რეალიზება; • მატერიალური ბაზის სრულყოფა. 	<ul style="list-style-type: none"> • პანდემიებით, ბუნებრივი კატასტროფებით, საომარი მოქმედებებით განპირობებული საფრთხეები; • უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით შექმნილი ბარიერები; • ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა შესაძლო გადინება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია 2022-2028 წწ.
მოიცავს 7 სტრატეგიულ მიმართულებას და 20 მიზანს:

სტრატეგიული მიმართულება 1 – ორგანიზაციული განვითარება

- მიზანი #1.1 - მართვის ეფექტიანობის ამაღლება;
- მიზანი # 1.2 - უნივერსიტეტის ხარჯთეფექტურობის გაუმჯობესება;
- მიზანი # 1.3 - ადამიანური კაპიტალის განვითარება;
- მიზანი # 1.4 - საზოგადოებასთან გამართული კომუნიკაციის დამყარება, ორგანიზაციის იმიჯის ამაღლება;
- მიზანი # 1.5 - კომერციული საქმიანობის განვითარება;
- მიზანი # 1.6 - უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება.

სტრატეგიული მიმართულება 2 – ხარისხის მართვა

- მიზანი #2.1 - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განახლება;
- მიზანი #2.2 - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფილი იმპლემენტაცია;
- მიზანი # 2.3 - ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის განვითარება.

სტრატეგიული მიმართულება 3 – სწავლა-სწავლება

- მიზანი #3. 1 - საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარება;
- მიზანი # 3.2 - სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლება;
- მიზანი # 3.3 - პროფესიული განათლების გაძლიერება;
- მიზანი # 3.4 - ახალგაზრდა ინოვატორების გენერაცია.

სტრატეგიული მიმართულება 4 – კვლევა და ინოვაცია

- მიზანი # 4.1 - სამეცნიერო -კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა.

სტრატეგიული მიმართულება 5 – ინტერნაციონალიზაცია

- მიზანი # 5.1 - ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება;
- მიზანი # 5.2 - საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის გაღრმავება;
- მიზანი # 5.3 - უცხოელ სტუდენტთა კონტიგენტის ზრდა.

სტრატეგიული მიმართულება 6 – სტუდენტური ცხოვრება

- მიზანი # 6.1 - სტუდენტებისთვის შემეცნებითი გარემოს განვითარება;
- მიზანი # 6.2 - ჯანსაღი და თავისუფალი სტუდენტური გარემოს შექმნა.

სტრატეგიული მიმართულება 7 – სოციალური პასუხისმგებლობა

- მიზანი # 7.1 - მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციის იმიჯის განმტკიცება.

სტრატეგიული მიმართულება 1

ორგანიზაციული განვითარება

თანამედროვე ევროპული საუნივერსიტეტო, აკადემიური სივრცის განვითარება ძირითადად ორი ნიშნით აღინიშნება. ერთის მხრივ, ტრადიციული შიდასაუნივერსიტეტო სტრუქტურების განვითარებით, როგორებიცაა ფაკულტეტები და მისი სტრუქტურული ერთეულები: დარგობრივი დეპარტამენტები/კათედრები, სამეცნიერო კვლევითი/სასწავლო კვლევითი ინსტიტუტები, ხოლო მეორეს მხრივ ე.წ. ფაკულტეტებს შორის, ან ფაკულტეტებს მიღმა წარმოშობილი და განვითარებული ინსტიტუციები, როგორებიცაა სწავლების სხვადასხვა საფეხურებისთვის განკუთვნილი კოლეგიები/კლასტერები, კვლევის წარმოების შიდასაუნივერსიტეტო თუ უნივერსიტეტთაშორისი რეგიონული და ინტერნაციონალური ქსელები/კვლევითი კლასტერები.

რაც საერთო რჩება ამ ორი ტიპის ინსტიტუციებისთვის არის ის, რომ მათ გააჩნიათ მაღალი ხარისხის ავტონომიურობა, ეს კი უმთავრესი პირობაა კვლევის, სწავლებისა და სწავლის პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისათვის, ანუ რელევანტურობის და აქტუალობის მნიშვნელობის წამოწევა წინა პლანზე. სწორედ ამ თანამედროვე პრინციპიდან გამომდინარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ქმნის თავის სტრუქტურას და ორგანიზების პრინციპებს.

უმადლესი სასწავლებლის საქმიანობის შეფასებაში მრავალი სოციალური სუბიექტი მონაწილეობს. სახელმწიფო და კერძო სექტორთან ერთად მათ რიცხვშია სტუდენტები და მათი ოჯახები, პროფესორ-მასწავლებლები, საკანონმდებლო ხელისუფლება, მასმედია და პროფესიული საზოგადოებები, რაც თანამედროვე უნივერსიტეტების მიმართ საზოგადოების შესაბამის მოთხოვნებს განაპირობებს. შესაბამისად:

- ტრადიციული ტიპის უნივერსიტეტები ბაზრის კონკურენტულ მოთამაშეებად ყალიბდებიან. მათი საქმიანობის შედეგია განსაკუთრებული სახის,

ინოვაციური პროდუქტი. ამის გამო თანამედროვე უნივერსიტეტებს საბაზრო კომპეტენციები სჭირდებათ;

- უნივერსიტეტები ინარჩუნებენ თავიანთ იდენტურობას - მხარს უჭერენ სამეცნიერო კვლევა-ძიების, განვითარებისა და განათლების აღიარებულ ფასეულობებს;
- მათ წინაშე ორგანიზაციული კულტურის მეტად რთული ამოცანა დგება: საჭირო ხდება „პროფესიონალთა თავისუფალი ასოციაციის“, საუნივერსიტეტო ტრადიციული კულტურისა და „გონების ფაბრიკის“ მაღალმწარმოებლური კულტურის ოპტიმალური შერწყმა.

შესაბამისად, უნივერსიტეტები ვალდებულნი არიან პროცესების მართვის ადმინისტრაციული მეთოდები განვითარების თანამედროვე მეთოდებით შეცვალონ, რაც მმართველობით საქმიანობაში გაცილებით მეტ ძალისხმევასა და ინიციატივას მოითხოვს.

ინდუსტრია 4.0-ის მოთხოვნების პირობებში, აუცილებელი გახდა უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილება, მენეჯმენტის ოპტიმიზაცია, საუნივერსიტეტო საზოგადოების ფორმირება და ციფრული სერვისების სისტემის შექმნა.

სტუ, როგორც თანამედროვე გამოწვევების გადაჭრაზე ორიენტირებული უმაღლესი სასწავლებელი, უპირატესობას ანიჭებს მართვის დეცენტრალიზაციის კომპონენტის გაძლიერებას - ანუ, მართვის ვერტიკალური, ხაზობრივ-ფუნქციური მიდგომის ნაცვლად, მართვის მოქნილ, შედეგებზე ორიენტირებულ, **საპროექტო-გუნდური ადმინისტრირების ფორმას**. ამ უკანასკნელის უპირატესობა იმაშია, რომ იგი ხელს უწყობს ქვედანაყოფებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობის ამაღლებას საქმიანობის შედეგებზე, რადგან

მათთვის მნიშვნელოვანი ხდება არა მარტო საკუთარი მუშაობის, არამედ და უპირატესად მთელი საქმიანობის (პროცესის) შედეგები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა მიმართულება 3 ჯგუფად იყოფა:

1. ძირითადი საქმიანობა - ფასეულობების (დამატებული ღირებულების) შემქმნელი პროცესები. მაგ: სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. სწორედ ეს პროცესები განსაზღვრავს უნივერსიტეტის შემოსავლებს;

2. დამხმარე საქმიანობა - რომელიც აუცილებელია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური განვითარებისთვის. ასეთია: საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფა;

3. მმართველობითი საქმიანობა - რომელიც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სამართავად, კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და განვითარების უზრუნველსაყოფად.

განათლების სისტემის ცვლილების მსოფლიო ტენდენციები ნათლად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ დღესდღეობით **ინოვაციური განვითარება და წარმატებული ორგანიზაცია (სახელმწიფო) აზრობრივად სინონიმებია**, ხოლო ინოვაციური საქმიანობა კი არის, მოცემულ მომენტში, კონტროლირებად რესურსებს მიღმა არსებული შესაძლებლობების მუდმივი, დაუცხრომელი კვლევა-ძიების პროცესი.

თანამედროვე უნივერსიტეტები ბაზრის კონკურენტულ მოთამაშეებად ყალიბდებიან, რომლებიც ძირითადად ორიენტირებულნი არიან მოქმედ სამართლებრივ სივრცეში შემოსავლების მომტან, დამოუკიდებელ და ინიციატივიან საქმიანობაზე. შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის, ბაზრის ახალი სეგმენტის შექმნისა და ათვისების მიზნით, პრიორიტეტულია **დამატებითი შემოსავლების მომტანი ეკონომიკური საქმიანობის** (ინოვაციური პროექტების, საკონსულტაციო, საექსპერტო და საგანმანათლებლო მომსახურების) **მასშტაბების ზრდა**.

ბოლო ათწლეულებში ცივილიზებული სამყაროს (აშშ, დასავლეთ ევროპა, იაპონია) საგანმანათლებლო პრაქტიკაში მყარად დამკვიდრდა **ინოვაციური უნივერსიტეტის მართვის მოდელი**. ტრადიციულ (კონსერვატიულ) და თანამედროვე ინოვაციურ უნივერსიტეტებს შორის პრინციპული განსხვავება არსებობს:

ტრადიციული და ინოვაციური უნივერსიტეტების შედარებითი ანალიზი

კრიტერიუმი	ტრადიციული უნივერსიტეტი	ინოვაციური უნივერსიტეტი
ორგანიზაციული კულტურის ფორმა	სტატუსური ადმინისტრაცია	საპროექტო-გუნდური ადმინისტრაცია
ცვლილების ტემპი	შედარებით ნელი, კონსერვატიული	ცხოვრების რეჟიმი და მთავარი ფასეულობა - სწრაფი ცვლილება და განვითარება
სწავლების დომინირებული მოდელი	ტრადიციული ლექცია-სემინარები, საგანზე ორიენტირებული სწავლება	კვლევაზე და თემებზე ორიენტირებული სწავლება
სწავლების შედეგები	თეორიის და პრაქტიკის შედარებით სუსტი ურთიერთმიმართება	სწავლისა და კვლევის შედეგების საზოგადოებრივი რელევანტურობა და ცოდნის საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა
რეგიონის განვითარებაში მონაწილეობა	შედარებით ჩაკეტილი სასწავლო-კვლევითი საქმიანობით ცხოვრება	ღია, კოლაბორაციის საფუძველზე რეგიონის განვითარების ერთ-ერთი აქტიური სუბიექტი
მართვის სტილი	იერარქიულ-ადმინისტრაციული, თანამდებობრივი სუბორდინაცია	იერარქიული და საპროექტო მიდგომების ოპტიმალური შერწყმა, პასუხისმგებლობის დელეგირება
ძირითადი სტრუქტურული ერთეული	დეპარტამენტი, კათედრა, კვლევითი ინსტიტუტი	საქმიანობის ჰიბრიდული ფორმა, რაც მოიცავს ტრადიციული და თანამედროვე ინოვაციური სტრუქტურების თანაარსებობას და ურთიერთმიმართებას; კვლევისა და სწავლების კლასტერული სისტემის განვითარება

რადგან თანამედროვე ტიპის ინოვაციური უნივერსიტეტი ამოცანების გადაწყვეტისას ეყრდნობა აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიურობის პრინციპს, იგი შესაბამისად ინოვაციებისა და ცოდნის ტრანსფერის საფუძველზე უზრუნველყოფს საბაზრო სფეროში არსებული შეზღუდულობის გადალახვას. ინოვაციური უნივერსიტეტი გამუდმებით ზრუნავს საქმიანობის ახალი სახეობის ინიცირებაზე, საკუთარ ტრანსფორმაციასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მოდიფიკაციაზე.

თანამედროვე განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებიდან გამომდინარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ინოვაციური უნივერსიტეტის მართვის მოდელზე გადასვლას ისახავს მიზნად, რომლის შედეგად იგი რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებს:

- საქმიანობის სხვადასხვა სფეროში (ეკონომიკაში, მართვაში, ფინანსებში, ტექნოლოგიებში, განათლებაში, კულტურაში...) ინოვატორების მომზადება, რომლებიც გამოირჩევიან ინოვაციური აზროვნებითა და ახალი ტიპის, ცოდნის ეკონომიკაში მუშაოების უნარით;
- სტუდენტების პროფესიონალ მკვლევარებად ჩამოყალიბების მიზნით შესაბამისი ცოდნის წარმოება და პროფესიული, კვლევითი კომპეტენციების, ასევე კომუნიკაციური უნარების გამომუშავება, რომელთა მეშვეობით სტუ-ის კურსდამთავრებული თავად ადგენს ურთიერთობის ახალ სქემებსა და მოდელებს, მათ შორის, ბიზნესის ორგანიზაციასა და მართვაში;
- ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევართა მოსამზადებლად სასწავლო-კვლევით პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში აქტიური მონაწილეობა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თანამედროვე ფასეულობებს ტრადიციულ აკადემიურ ღირებულებებთან ორგანულად ათანხმებს. მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ინდუსტრიასთან, საზოგადოებასთან, კურსდამთავრებულებთან და

დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაძლიერება, რისთვისაც სტუ აქტიურად არის ჩართული ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და ინოვაციური საქმიანობის მხარდამჭერი ახალი სტრუქტურების ფორმირების პროცესში.

უნივერსიტეტის ბაზაზე წარმოებული კვლევები უნდა იყოს ბაზარზე ორიენტირებული, გამოყენებითი, ანუ რეალიზებადი და საზოგადოებრივად რელევანტური. მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის დაინტერესება, გრანტებისა და კონტრაქტების მრავალფეროვნება.

უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებულია, რომ ორგანიზაციული განვითარება პირველ რიგში უნდა გულისხმობდეს უნივერსიტეტის მართვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას, ხარჯთეფექტურობის უზრუნველყოფას, ადამიანური კაპიტალის უწყვეტ ზრდა-განვითარებას, საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაღრმავებას და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან აქტორად ჩამოყალიბებას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მოწოდებულია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ფორმირებას, რომელიც განსაზღვრავს კოლეგიალური ურთიერთობების დონეს, ორგანიზაციის საერთო მიზნებისადმი თანამოაზრობასა და აზრთა თანხმობას.

სტრატეგიული მიმართულება 2

ხარისხის მართვა

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობს. იგი უნივერსიტეტის უმთავრესი ფუნქციის - კვლევის, სწავლისა და სწავლების ერთიანობის ხელშემწყობი ინსტრუმენტია. შესაბამისად, სწორედ ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის ყველა ორგანოს უნდა ჰქონდეს წვდომა იმ ინფორმაციასა და მონაცემებზე, რომლებიც მათ შემდგომ მიღწევებს და საკვლევო სფეროების დაგეგმვას, განხორციელებას, ხარისხის მართვასა

და სამომავლო განვითარებას უზრუნველყოფს. უნივერსიტეტში შეიქმნება ხარისხის უზრუნველყოფის ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც სტრუქტურული რეფორმირების პროცესში ორგანულად იქნებიან ინტეგრირებულნი ამ სისტემაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სისტემა მიზნებიდან გამომდინარე ორიენტირებულია შემდეგ ძირითად პრინციპებზე:

თანამონაწილეობა: ცალკეული ფაკულტეტები, დეპარტამენტები, ინსტიტუტები, ისევე როგორც ყველა საფეხურის სტუდენტები, ხარისხის რეგულირების ყოველ საფეხურზე სისტემურად იქნებიან ჩართულნი და თანამონაწილე;

სარგებლიანობა/საჭიროება: ხარისხის მართვის მეთოდოლოგიური ძალისხმევა მუდმივ კავშირში უნდა იყოს მის საჭიროებასთან. ხარისხის მართვის პროცესი არ არის თვითმიზანი, არამედ ორიენტირებულია უნივერსიტეტის მიერ დასმული მიზნების მიღწევაზე.

სიზუსტე: ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები როგორცაა მაგალითად, შეფასებები, უნდა ეფუძნებოდნენ როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მეთოდოლოგიასა და მონაცემებს. კვლევის სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად რჩება ე.წ. „პიერ-რევიუ“-ს მეთოდი, ე.ი. აღიარებული კოლეგების მიერ შეფასება (განსაკუთრებით ის ეხება კვლევით კომპონენტს და მასთან ინტეგრირებულ სასწავლო პროცესს).

კომუნიკაცია და დიალოგი: ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები (განსაკუთრებით კი მონიტორინგისა და შეფასების) განხილულ იქნება შესაბამისი საუნივერსიტეტო ორგანოებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ, უპარტიო/ნეიტრალური პოზიციიდან და პროცესის მონაწილეებთან არსობრივი დისკუსიის ფორმით.

სიცხადე/გამჭირვალობა: ხარისხის მართვა მხოლოდ დადგენილი პროცედურით, კრიტერიუმებით და მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობს, ასევე ცხადი

პასუხისმგებლობითა და ვალდებულებებით. ყოველივე ეს გამოხატულია ცხად სისტემურ პროცედურებში.

მიზნები და მოქმედების სფეროები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სისტემა მოიცავს უნივერსიტეტის მოღვაწეობის ყველა სფეროს:

- აკადემიური - კვლევა, სწავლა და სწავლება, ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;
- ადმინისტრაციული - ცენტრალური და არაცენტრალური ადმინისტრაციები;
- სერვისული - ცენტრალური და არაცენტრალური სერვისები.

ხარისხის მართვის სისტემის თვისებრივ მიზანს წარმოადგენს ამ სფეროებში ხარისხის მუდმივი უზრუნველყოფა და შემდგომი განვითარება. ყოველივე ეს გამოხატულია შემდეგში:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაგეგმვის ხელშეწყობა, რელევანტური ინფორმაციით და მონაცემებით გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე;
- სტრატეგიული და ადმინისტრაციული პროცესების ნათლად სისტემატიზირება და დოკუმენტირება;
- საკუთარ საქმიანობაზე მუდმივი დაკვირვება, კვლევასა და სწავლებაზე პასუხისმგებლიანი პოზიციის გამოხატვა ცენტრალური მმართველობითი ორგანოების მიერ, თანამშრომელთა ჩართულობის საფუძველზე მიღწეული კონსესუსები და გადაწყვეტილებები - ის აქტივობებია, რომლებიც წარმოადგენს დასახული მიზნების მიღწევის შეფასებისა და მონიტორინგის შესაბამის ინსტრუმენტებს.

კომპეტენციები, პასუხისმგებლობები და ინსტრუმენტები. სტუ-ს ხარისხის მართვა დაფუძნებულია ხარისხის მიზნებზე, ცხად სტრუქტურებსა და პროცედურებზე, მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებაზე, ისევე როგორც რექტორატსა და ფაკულტეტების ურთიერთკონსულტაციის შედეგად მიღებულ სტრატეგიულ

გადაწყვეტილებებზე. ამ დროს ძირითადი პასუხისმგებლობა ხარისხის მართვაზე რექტორატს ეკისრება, რადგან რექტორატი ქმნის ხარისხის მართვის განხორციელების საშტაბო ორგანოს. ეს შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც მუდმივი დავალება, რომელიც დაგეგმვას, შესრულებას, გადამოწმებასა და არსობრივ დავალებების და სამუშაო სფეროების განვითარებას მოიცავს. ეს წრებრუნვა უნივერსიტეტის ხარისხის მართვის ინსტრუმენტებთანაა თანხვედრაში. საფუძველი წარმოქმნის ხარისხის მიზნებს, რომლებიც უნივერსიტეტის საერთო კონცეპტიდან გამომდინარეობს და ფაკულტეტებისა და ცალკეული კვლევით სასწავლო უჯრედების ჩარჩოებს ქმნიან. არის თუ არა დასახული მიზნები მიღწეული, ეს მუდმივი შეფასებითა და მონიტორინგით მოწმდება, რომელთა შედეგებიც ფაკულტეტებისა და სხვადასხვა კომისიების, ასევე რექტორატთან სტრატეგიული საუბრებისას ინტენსიური განხილვისა და გაუმჯობესების ღონისძიებების მოძიების საგანი ხდება. პროცესების მართვა უზრუნველყოფილი იქნება ოპტიმიზაციის პროცესების ღია, ეფექტური და თვალსაჩინო მსვლელობით. თუმცა, რამდენადაც ეს განსხვავებული კომპონენტები და ინსტრუმენტები ყველა სფეროში პრინციპულად გამოიყენება, იმდენად თითოეულ სფეროში განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელი არიან. კვლევის სფეროში პიერ-რევიუ (ანუ კოლეგიალური შემოწმების მეთოდი) არის და რჩება მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ხარისხის უზრუნველყოფისათვის. სწავლისა და სწავლებაში მონიტორინგის მეთოდი წარმოადგენს არსობრივ ინსტრუმენტს ხარისხის უზრუნველყოფისათვის, ხოლო ადმინისტრაციისა და მმართველობით სფეროებში პროცესის მართვის სისწორეა მთავარი კრიტერიუმი.

სტრატეგიული მიმართულება 3

სწავლა-სწავლება

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები განახლებული ცოდნის შემქმნელ განათლებას მოითხოვს, რითაც განათლების რელევანტურობა (არსებობა) და ხარისხი მაღლდება. თუ ინდუსტრიულ საზოგადოებაში განათლება ორიენტირებული იყო ინდივიდის ინფორმაციით აღჭურვაზე, ცოდნის საზოგადოებაში მას კრეატიული (შემოქმედებითი) მიდგომა ცვლის. ამასთან, განათლების ტრადიციული სისტემა ძირითადად მიმართული იყო ახალგაზრდობის ასაკში სწავლის შეძენაზე და ცოდნის უცვლელად პრაქტიკაში გამოყენებაზე. **განათლების თანამედროვე სისტემა კი მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას მოითხოვს, რაც სწორედ განმანათლებლური ცოდნის გენერირებას გულისხმობს და თანამედროვე დასავლური საზოგადოების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.** ამასთან, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოწიფულთა ასაკში განათლების მიღებას, რადგან სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება გლობალურ სამყაროში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებებისადმი ადაპტაცია.

თანამედროვე ეტაპზე განათლება პიროვნული მნიშვნელობის ფასეულობად ყალიბდება, რადგან ფუნდამენტური და განმანათლებლური ცოდნა მომავალი სპეციალისტისა და საზოგადოების ობიექტურ მოთხოვნილებად გვევლინება. ამასთან, თანამედროვე დასავლურ საგანმანათლებლო სისტემაში უმნიშვნელოვანესია სწავლებისა და კვლევის განუყოფლობის კომპონენტი, რადგან სასწავლო პროცესი არ უნდა ჩამორჩეს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულებას წარმოადგენს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული დარგობრივი მიმართულებების ჰარმონიული განვითარება უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, რათა შეძლოს სრულფასოვანი ადგილის დამკვიდრება ერთიან საუნივერსიტეტო სივრცეში.

იმისთვის, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პასუხობდეს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნებსა და გამოწვევებს, მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო პროგრამები არა უბრალოდ ფარავდეს სწავლების ყველა საფეხურს, არამედ, მათი განვითარება ხდებოდეს მუდმივი განახლებადობისა და საზოგადოების რეალურ მოთხოვნილებებთან თავსებადობის რეჟიმში, შესაბამისად, უზრუნველყოფილი იყოს მათი საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობა, პროგრამების სისტემატური განახლება და სრულფასოვანი ინტერნაციონალიზაცია.

სტუ-ის მდგრადი განვითარების, ახალი განმანათლებლური ცოდნის დაგროვებისა და შექმნის ერთ-ერთი განმსაზღვრელი წინაპირობა საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გაზიარებაა, რა მიზნითაც მუდმივად ესწრაფვის ახალი გაცვლითი პროექტების განხორციელებას, ერთობლივ პროგრამებსა და კონსორციუმებში აქტიურ თანამონაწილეობას, როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჭიროებად აღიარებს არსებული და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის აუცილებლობას, როგორც სტუდენტების და აბიტურიენტებისთვის, ასევე შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან. შესაბამისად, დამსაქმებლების, პროფესიული, აკადემიური და საექსპერტო წრეების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სრულფასოვან ჩართულობას მოცემული სტრატეგიული მიმართულებით მუშაობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი განვითარებისა და ხარისხის დადასტურების პროცედურების პარალელურად, ზრუნავს მუდმივად განახლებადი თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების/პროექტების შემუშავებაზე, მათ დანერგვაზე, ინტერნაციონალიზაციასა და ცოდნის ტრანსფერის განხორციელებაზე.

უნივერსიტეტში მეცნიერული კვლევის და სწავლა-სწავლების პროცესი ერთიანი და წარმატებული რომ იყოს, უნდა ეფუძნებოდეს და იმავდროულად შეიცავდეს

გარკვეული სახის მიზანმიმართულ ცოდნას. თავად ცოდნა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

I. ცოდნის შექმნისგან, რაც გულისხმობს:

- ა) სამეცნიერო პროექტის აქტუალურობას;
- ბ) საზოგადოებრივ და აკადემიურ რელევანტურობას;
- გ) პროექტში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ კვლევითი დავალებების გონივრულ და ადექვატურ დანაწილებას და მათი დროში შესრულების შეძლებისდაგვარად ზუსტ გაწერას;
- დ) შესაბამის დარგებში მსოფლიოში თანამედროვე კვლევის დონის ცოდნას, ადექვატურ ანალიზსა და გამოყენებას.

II. ცოდნის გადაცემისგან (ტრანსფერისგან), რაც ნიშნავს:

- ა) კვლევის, სწავლებისა და სწავლის პროცესის ერთიანობას, შესაბამისად
- ბ) კვლევის პროცესში დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ჩართულობას;
- გ) სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებას (შესრულებას) შესაბამის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში;
- დ) Postdoc-ბის ჩართულობასა და დასაქმებას კონკრეტულ კვლევით პროექტებსა საგანმანათლებლო პროგრამებში;
- ე) კვლევის შედეგების დანერგვას სასწავლო პროცესის მაღალ საფეხურებზე (მაგისტრატურა, დოქტორანტურა);
- ვ) ინტერდისციპლინური და ტრანსდისციპლინური კვლევისა და სწავლების განვითარებას.

III. ცოდნის განაწილებისგან, რაც მოიცავს:

ა) პარტნიორობასა და კოლაბორაციას როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ მონათესავე სამეცნიერო სუბიექტებთან და უსდ-თან, ასევე უცხოურ სამეცნიერო სასწავლო ცენტრებთან;

ბ) უშუალოდ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მიმდინარე კვლევის პროცესში უცხოელი პარტნიორების ჩართულობას;

გ) უცხოელი წამყვანი მეცნიერ-სპეციალისტების დახმარებასა და ჩართულობას სასწავლო პროცესის შედეგების შეფასებისა და ანალიზის პროცესში.

IV. **ცოდნის გამოყენებისგან**, რაც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში შესრულებული კვლევების პრაქტიკაში დანერგვასა და გამოყენებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში, საზოგადოების სამართლებრივი, პოლიტიკური, საგანმანათლებლო თუ სხვა სოციალური სისტემების უფრო გამართულ ფუნქციონირებაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონული და საერთაშორისო კოლაბორაციის ფარგლებში შექმნილი ერთობლივი პროგრამების განხორციელების შედეგად ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭება და შესაბამისი დიპლომების გაცემა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს იყოს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულფასოვანი წევრი, საგანზე ორიენტირებული სწავლებიდან გადადის თემაზე ორიენტირებულ სწავლებაზე, რაც ფუნდამენტურად ცვლის ცოდნის შექმნისა და გადაცემის საუნივერსიტეტო სტანდარტს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც ცივილიზებული საუნივერსიტეტო ოჯახის სრულფასოვანი წევრი, მუდმივად ზრუნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრებზე და უქმნის მათ ცოდნის შექმნის, გადაცემისა და მიღებისთვის ხელსაყრელ გარემოს.

სახელმწიფო პოლიტიკის, აგრეთვე საზოგადოებრივი ინტერესების სრული მხარდაჭერით და პროფესიული საგანმანათლებლო მიმართულებების განვითარების კრიტიკული საჭიროების გაცნობიერებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ახორციელებს და დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით კიდევ უფრო გააფართოვებს ხარისხიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების არჩევანს.

საუნივერსიტეტო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მოწოდებულია უწყვეტად გააძლიეროს ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი სწავლა-სწავლების პროცესში და მის მართვაში, რაც პასუხობს პროცესების მუდმივად გამარტივების აუცილებლობას და თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს.

სტრატეგიული მიმართულება 4

კვლევა და ინოვაცია

ქვეყნის მომავალი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ კულტურულ და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, რომლებიც უნივერსიტეტების სასწავლო-კვლევით ერთეულებში მიმდინარეობს.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რადგან მხოლოდ ახალი ცოდის გენერირებითა და მისი ტრანსფერითაა შესაძლებელი უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიის შესრულება. ამდენად,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგია, ისევე როგორც ამ სტრატეგიაზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა ფოკუსირებულია უნივერსიტეტის წიაღში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და საუკეთესო უცხოური, თუ ეროვნული კვლევითი პრაქტიკის იმპლემენტაციაზე. აღნიშნული გულისხმობს, როგორც უნივერსიტეტის კვლევითი ერთეულების ხელშეწყობასა და გაძლიერებას, ისე სხვადასხვა კვლევითი პროექტის ინიცირებას და განხორციელებას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ორიენტირებულია მძლავრი სასწავლო-კვლევითი სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და მდგრად განვითარებაზე. იგი მუდმივად ზრუნავს როგორც ახალგაზრდა პროფესიონალების მოზიდვასა და მათ მრავალმხრივ მხარდაჭერაზე, ისე საერთაშორისო პარტნიორების დაინტერესებაზე.

უნივერსიტეტი შედგება როგორც ტრადიციული, ისე ახალი ინოვაციური სასწავლო-კვლევითი ერთეულებისაგან (ფაკულტეტები, დეპარტამენტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სასწავლო-კვლევითი კლასტერები), რომლებიც ძირითადად აგებულია როგორც ინტერდისციპლინურობის/მულტიდისციპლინურობის, ისე გამონაკლის შემთხვევაში, მონოდისციპლინურობის საფუძველზე და აერთიანებს სხვადასხვა მიმართულების დეპარტამენტებსა და კათედრებს.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კვლევითი ერთეულების დაფუძნების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საკვლევი თემის აქტუალობა და რელევანტურობა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს **ინტერდისციპლინურობის, ტრანსდისციპლინურობისა და ინტერნაციონალიზაციის** მოთხოვნებს. კვლევითი ერთეულების მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგები საზოგადოებისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რაც განმანათლებლური ცოდნის დამკვიდრების და საზოგადოების თვითშეგნების ამაღლების წინაპირობაა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების) დაფუძნება შესაძლებელია მოხდეს რამოდენიმე სახით. მაგ:

- ფაკულტეტებს შიგნით ფუნქციონირებადი კვლევითი ერთეულები, რომელთა ფორმირება ეფუძნება ფაკულტეტების პრიორიტეტულ მიმართულებებზე წარმოდგენილ კვლევით პროექტებს და გაერთიანებულნი იქნებიან ქოლგა თემის/ინსტიტუტის სახელწოდების ქვეშ;
- ფაკულტეტთაშორისი ინსტიტუტები, რომლებიც განსაკუთრებით მოთხოვნადია თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე და იმავდროულად ერთ-ერთი მთავარი კომპონენტის, ინტერდისციპლინურობის განხორციელების საფუძველია;
- ზოგადსაუნივერსიტეტო ინსტიტუტები, რომლებიც ფუნქციონირებს განსაკუთრებული მნიშვნელობის კვლევითი პროექტების შემთხვევაში, ხოლო კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება სასწავლო პროცესში.

სასწავლო და კვლევითი პროცესების მაღალ დონეზე წარმართვისა და საერთაშორისო აღიარების მიზნით, უნივერსიტეტში დაფუძნებული ახალი სტრუქტურული ერთეულები შესაძლებელია გაერთიანდეს ერთი სათაურის, **ექსელენტ ინიციატივის** ქვეშ, რომლის ფარგლებშიც მოხდება ე.წ. **კვლევითი კლასტერებისა და დოქტორანტთა (მაგისტრანტთა) გრადუირებული სკოლების** ფორმირება.

სტუ მაქსიმალურად ზრუნავს, რომ კვლევით ერთეულებს (ინსტიტუტებს) შეუქმნას შესაბამისი პირობები უნივერსიტეტში სრული კოლაბორაციისათვის, რათა კვლევითი კომპონენტი სასწავლო პროცესში ეფექტურად იქნეს ინტეგრირებული.

კვლევითი პროცესების მნიშვნელობისა და მასშტაბურობის ზრდის მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ორიენტირებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს როგორც სხვა რეგიონული უნივერსიტეტების, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ისე, კვლევებით და კვლევის შედეგებით დაინტერესებული ბიზნეს-სუბიექტების მაღალი ჩართულობა.

იმავედროულად, უნივერსიტეტი მოწოდებულია, რომ საინჟინრო-ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგები მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს საბაზრო მოთხოვნებზე (რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას), ხოლო ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულების ინსტიტუტების კვლევის შედეგებს საზოგადოებრივი, სამართლებრივი და კულტურული რელევანტურობა გააჩნდეს.

ფაკულტეტებისა და შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის ინსტიტუტების დაფუძნება და ფუნქციონირება დიდწილად განისაზღვრება მათი დაფინანსების სწორი სისტემის ჩამოყალიბების შედეგად. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კვლევითი ინსტიტუტების წევრებს (პროფესორები, მოწვეული მკვლევრები, ახალგაზრდა მკვლევრები, როგორებიც არიან დოქტორანტები და წარჩინებული მაგისტრები), შესაბამისი პროექტის არსებობის შემთხვევაში, ეძლევათ კარგი ფინანსური შესაძლებლობა მიიღონ ე.წ. საბაზისო დაფინანსება, რომლის მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, თუმცა, წარმატებული კვლევის შემთხვევაში (ექსპერტთა შეფასების საფუძველზე) ანაზღაურების ზედა ზღვარი შეიძლება არ იყოს განსაზღვრული.

ამასთან, უნივერსიტეტში არსებული ყველა ინსტიტუტის საქმიანობა რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე ფასდება. როგორც თავად მომავალი ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ პროექტს (რომლის საფუძველზეც ფუძნდება ინსტიტუტი), ისე მის კვლევით პროცესს, მონიტორინგს და შეფასებას უწევს ექსპერტთა საბჭო, რომელიც შედგება რექტორატის, ან რექტორატისა და ფაკულტეტების ხელმძღვანელების მიერ შერჩეული ადგილობრივი და უცხოელი სწავლულ-ექსპერტებისაგან. მთავარი კრიტერიუმი შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში არის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაცია, ანუ ქოლგა თემის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებში მონაწილეობას უნდა იღებდნენ უცხოელი პროფესორ-სწავლულები, რომლის

შედეგებიც გამოქვეყნდება ქართულენოვანი კრებულებისა და წიგნების სახით, ხოლო ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გამოიცემა impact ფაქტორის მქონე ჟურნალში რომელიმე ევროპულ ენაზე (მაგ: ინგლისურად, გერმანულად, ან ფრანგულად).

იმავედროულად, რადგან კვლევის ღირებულება უნივერსიტეტში მისი სასწავლო პროცესში გამოყენებით განისაზღვრება, სტუ ახდენს სასწავლო პროცესის შეფასებას სხვადასხვა კრიტერიუმებისა და მეთოდების საფუძველზე (მაგ: სტუდენტთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა შეფასებები და სხვ.). იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგისა და შეფასების შედეგად დადებითი დასკვნები არ იქნება მიღებული, შესაძლებელია როგორც ცალკეული პროექტის, ისე ინსტიტუტის არსებობის შეწყვეტა.

უნივერსიტეტში არსებული სასწავლო და კვლევითი სტრუქტურების გამართულად ფუნქციონირების მიზნით, აუცილებელია მაღალი რანგის პერსონალური აკადემიური შემადგენლობა. აღნიშნულის მისაღწევად საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა დაადგინა აკადემიური კონკურსის ახალ სტანდარტები, რომელთა საფუძველზეც მოხდება აკადემიური პერსონალის შერჩევა. ამ სტანდარტების ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა მაღალი აკადემიური ღირებულების კონცეფცია-პროექტების წარმოდგენა, მათი ინტერნაციონალიზაცია, ინტერდისციპლინურობა და უმეტეს შემთხვევაში, მოთხოვნილ იქნება ტრანსდისციპლინურობის კომპონენტის დაკმაყოფილებაც.

სტრატეგიული მიმართულება 5

ინტერნაციონალიზაცია

მუდმივად ცვალებად და მზარდ გლობალიზებად სამყაროში უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციას განსაკუთრებული როლი ენიჭება. იგი სტუ-ის სტრატეგიული განვითარების განუყოფელი ნაწილია. უნივერსიტეტი მუდმივად

ზრუნავს ადეკვატურად უპასუხოს გლობალიზაციის შედეგად წამოჭრილ მოთხოვნებს, გამოწვევებს და შესაბამისად მოიპოვოს საერთაშორისო აღიარება.

ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიმართულებით სტუ-ის ძირითად მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის/ხილვადობის ამაღლება და გაძლიერება. შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მუდმივად ისწრაფვის ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით დაიმკვიდროს ხარისხიანი განათლების მიმწოდებელი უნივერსიტეტის სახელი, რომელიც გამოირჩევა ინოვაციური პროგრამებითა და სწავლების მეთოდებით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, კონკურენტუნარიანი აკადემიური პერსონალით, ექსელენს სამეცნიერო კვლევებსა და პროგრამებში მონაწილეობის მაღალი შესაძლებლობებით.

სტუ-ის პრიორიტეტს წარმოადგენს კვლევასა და სწავლებაში ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების მუდმივი პროცესი, რომელიც მოიცავს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებსა და საერთაშორისო თანამშრომლობას კვლევითი პროექტების ფარგლებში.

უნივერსიტეტი შიმუშავებს პოლიტიკას საერთაშორისო ხარისხის დადასტურების მიმართულებით და თანამშრომლობს მსოფლიოს არაერთ უნივერსიტეტთან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ერთობლივ, საერთაშორისო სტანდარტების მქონე საგანმანათლებლო პროგრამებს სხვადასხვა ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებთან, რითაც იგი ხელს უწყობს როგორც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროების განვითარებას, ისე საქართველოს ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესებას და ამ გზით ქვეყნის ეკონომიკურ

ზრდას. აღნიშნული პროგრამების წარმატებით გავლის შემთხვევაში სტუდენტებს გადაეცემათ როგორც სტუ-ის, ისე პარტნიორი უნივერსიტეტის დიპლომები.

უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია **ინტერნაციონალური კოლაბორაციის დანერგვა და განვითარება** უსდ-ებთან, ეს გულისხმობს: ა) ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას და ამ პროექტებში დოქტორანტების და ახალგაზრდა მეცნიერების აქტიურ ჩართულობას; ბ) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას სწავლების სხვადასხვა საფეხურისათვის.

სტუ-ის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანია ფუნქციონირებდეს **შეფასების ინტერნაციონალური მექანიზმი**, რომლის მეშვეობითაც მოხდება პროექტებისა და მათ საფუძველზე შექმნილი (არსებული) კვლევითი ერთეულების რელევანტურობისა და სამეცნიერო ღირებულების შეფასება. ამასთან, ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ პროექტების საფუძველზე ფინანსების მოზიდვა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური სამეცნიერო-საზოგადოებრივი ფონდებიდან, ორგანიზაციებიდან, რაც ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია იმის დასადასტურებლად, რომ პროექტი არამხოლოდ რეგიონულად, არამედ **ინტერნაციონალურად რელევანტური და აქტუალურია**.

საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში სტრუქტურული ერთეულის სახით **ჩამოყალიბდა გრანტების მომსახურების ოფისი**, რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტში საგრანტო პროცესის გამართვასა და კოორდინაციაზე, ასევე ეხმარება პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალს და სტუდენტებს ინსტიტუციური და კვლევითი განვითარებისათვის დაფინანსების წყაროების მოძიებაში, საგრანტო წინადადების მომზადებასა და მისი ადმინისტრირების პროცესში.

ინტერდისციპლინური ტენდენციების განვითარებამ უნივერსიტეტის მთავარ ამოცანად სამეცნიერო თემების შერჩევა და ახალი თემატური ველების მიზნობრივი იდენტიფიცირება მოითხოვა, რაც მეტწილად რამდენიმე დისციპლინის კვეთაში მიმდინარეობს. შესაბამისად ჩნდება ერთობლივი სამეცნიერო პროექტებისა და კოოპერაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება-განვითარების აუცილებლობა, რისთვისაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ახალი ორგანიზაციული პრიორიტეტების შესრულებას კლასტერებისა და კოლაბორაციულ-ინტერნაციონალური კვლევითი ცენტრების სახით. ეს სტრუქტურული ერთეულები სტუ-ს განვითარებას დინამიურს ხდის და მის სასწავლო-კვლევით პოტენციალს საგრძნობლად ამაღლებს.

ახალი ინტერდისციპლინური ორგანიზაციული სტრუქტურები ხელს უწყობენ საერთაშორისო დონის მაღალ რეიტინგული მეცნიერ-მკვლევართა მოზიდვას, ეს კი მნიშვნელოვნად განაპირობებს სტუ-ს კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მის ინტერნაციონალიზაციის პროცესს. ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურებს ძველთან ერთად ერთგვარი სიახლე შეაქვთ სტუ-ს ინსტიტუციონალურ დიზაინში. აღნიშნულ ტენდენციას შედეგად მოყვება ის, რომ ძლიერდება უნივერსიტეტი როგორც თანმიმდევრული საზოგადოებრივ-აკადემიური აქტორი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და ფართოვდება. უნივერსიტეტი მრავალი საერთაშორისო ქსელის და ასოციაციის წევრია. ამასთან, გაფორმებული აქვს 200-ზე მეტი მემორანდუმი ადგილობრივ და საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (ორგანიზაციებთან), მათ შორის, როგორც აშშ-ის და ევროპის, ისე აზიის ქვეყნების ინსტიტუციებთან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც ინტერნაციონალიზაციის პროცესში აქტიურად ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს უცხოელ სტუდენტთა მოზიდვისა და შესაბამისი

კონტიგენტის ზრდის პროცესს. აღნიშნული მიმართულებით სტუ გეგმავს რეკრუტირების პროცესის გაძლიერებას, რაც გულისხმობს რეკრუტირების სამოქმედო გეგმის შემუშავება/განხორციელებას, საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებსა და ფორუმებში მონაწილეობის მიღებას, საერთაშორისო რეკრუტერებთან ურთიერთობების დამყარებას, მიზნობრივ ბაზარზე მარკეტინგული კამპანიების წარმოებას და სხვ.

სტრატეგიული მიმართულება 6

სტუდენტური ცხოვრება

სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და შესაბამისად, **სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება** თანამედროვე ტიპის უნივერსიტეტის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მოცემულ საკითხს უყურებს სისტემურად და არ განიხილავს სტუდენტურ გარემოს მხოლოდ სტუდენტისთვის კომფორტული სასწავლო პირობების შექმნის კუთხით, არამედ მიიჩნევს რომ საჭიროა უპირველეს ყოვლისა იმგვარი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში არამხოლოდ პროფესიულ ზრდას, არამედ სამართლებრივი თვითშეგნებისა და

კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის, დემოკრატიის პრინციპების, ადამიანის უფლებების, ეგზისტენციალური ღირებულებებისადმი პატივისცემის და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია მაღალი ხარისხის საკონსულტაციო და კარიერული მხარდაჭერის სერვისების შეთავაზება, ხოლო სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სტუდენტთა ინტერესების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა, რაც არამხოლოდ სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ჯანსაღი კომუნიკაციის განვითარებას, არამედ სტუდენტთა სოციალური, კულტურული, სპორტული და საზოგადოებრივი აქტივობის ზრდას შეუწყობს ხელს.

სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით სტუ მუდმივად ზრუნავს შესაბამისი ქმედით-მასტიმულირებელი ღონისძიებების გატარებასა და ამ მიმართულებით კონკრეტული მიღწევების უზრუნველყოფაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია სტუ-ის წესდებით, ეთიკის კოდექსითა და ინდივიდუალური ხელშეკრულებებით. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი უნივერსიტეტის მართვის პროცესში, გაწვევრიანებულნი არიან სენატსა და ფაკულტეტების საბჭოებში, ქმნიან სტუდენტურ თვითმმართველობებს და მოქმედებენ შესაბამისი დებულების ფარგლებში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ტექნოლოგიების განვითარებისა და ელექტრონული პლატფორმების ცენტრალიზაციის გზით, მუდმივად ზრუნავს სტუდენტური სერვისების გაძლიერებაზე. ამასთან, უზრუნველყოფს რომ სტუდენტებს ჰქონდეთ თანაბარი და უწყვეტი წვდომა თანამედროვე სტუდენტურ სერვისებზე.

სტუდენტთა ჩართულობა გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესშიც, ისინი ჩართულნი არიან სპეციალური დარგობრივი კომიტეტების საქმიანობაში და სისტემატურად მონაწილეობენ სტუდენტთა გამოკითხვებში. მათ მომსახურებას უწევს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და სტუდენტური სერვისების წარმომადგენლები შესაბამის ფაკულტეტებზე.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მძლავრად წარმოდგენილი კულტურული და სპორტული მიმართულების სერვისები და ღონისძიებები მეტად საინტერესოს ხდის საუნივერსიტეტო ცხოვრებას სტუდენტებისთვის, რაც მათ პიროვნულ განვითარებას, ინტერესების რეალიზებას და კმაყოფილების ამაღლებას უწობს ხელს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს **სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი**. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი კურიკულუმს გარე აქტივობების ორგანიზებასა და დაფინანსებაში, მუდმივად ზრუნავენ სპორტისა და კულტურის პოპულარიზაციაზე, სტუდენტებსა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, უზრუნველყოფენ ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენას და მათ მონაწილეობას მსოფლიო და ეროვნულ უნივერსიადებში სტუ-ის სახელით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების მხარდაჭერას ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების მოზიდვისა და მათი ეფექტიანად მართვის გზით.

სტრატეგიული მიმართულება 7

სოციალური პასუხისმგებლობა

ტრადიციულად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ყოველთვის ეროვნულ ინტერესს ემსახურებოდა - ამზადებდა კვალიფიციურ კადრებს და ქმნიდა სამეცნიერო პროდუქტს, მაგრამ ბოლო წლებში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: დღესდღეობით უნივერსიტეტი არის არამხოლოდ სასწავლო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც ქმნის, აფასებს და ავრცელებს ცოდნას კვლევისა და სწავლების გზით, არამედ **საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი ინსტიტუტცაა**. აქედან გამომდინარე ტრადიციული უნივერსიტეტის მთავარი დანიშნულება - მიაწოდოს ცოდნა ახალგაზრდებს, ტრანსფორმირდება და დღესდღეობით მთელ საზოგადოებაზე უნდა გავრცელდეს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც საზოგადოებრივი საჯარო დაწესებულება, **კულტურული ინსტიტუტცაა**. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უკავია სწორედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებს, რომლებიც ჰუმანისტური აზროვნების საფუძველზე ხელს უწყობენ საზოგადოების ჰუმანურ პრინციპებზე ჩამოყალიბების პროცესს. **უნივერსიტეტი, როგორც ევროპული ჰუმანისტური ტრადიციების მეურვე** მუდმივად მიისწრაფვის უნივერსალურ ღირებულებებზე დაფუძნებული, ანუ განმანათლებლური ცოდნისკენ.

თავისი პროფილიდან გამომდინარე, სტუ, როგორც საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განმავითარებელი ინსტიტუტცა, მუდმივად ზრუნავს რომ აღნიშნული მეცნიერებების საფუძველზე მიღებული სიკეთეები, ერთის მხრივ ჰუმანისტური იდეალების სამსახურში იდგნენ, ხოლო მეორეს მხრივ თავად უწყობდნენ ხელს ამ იდეალების თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად განვითარებას. იგი მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისას სცილდება გეოგრაფიულ და პოლიტიკურ საზღვრებს და ადასტურებს **სხვადასხვა კულტურათა ურთიერთრესპექტირებისა და ურთიერთმიმღებლობის სასიცოცხლო აუცილებლობას**.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც საზოგადოებრივად აქტიური სუბიექტი, რეკომენდაციების გაწევის გზით ხელს უწყობს სოციალურ სისტემის განვითარებას ყველა მიმართულებით. ამასთან, სტუ მუდმივად მიისწრაფვის, რომ

უზრუნველყოს მომავალი თაობა ისეთი განათლებით, რომელიც მას ბუნებრივ და სასიცოცხლო გარემოში ჰარმონიულად ცხოვრების წესს ასწავლის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მდგრადი და სტაბილური განვითარების მიზნით პრიორიტეტულია უნივერსიტეტის, როგორც **სანდო და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციის იმიჯის განმტკიცება ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში**. აღნიშნულის მისაღწევად, სტუ მუდმივად ზრუნავს საკუთარი წვლილი შეიტანოს სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების საქმეში, ჩართულია საზოგადოებისთვის აქტუალური თემების განხილვაში. უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი სტუდენტების არამხოლოდ კონკურენტუნარიან პროფესიონალებად ჩამოყალიბება, არამედ მათი მაღალი სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური პრინციპების მქონე მოქალაქეებად აღზრდაც.

ორგანიზაციის სანდოობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს უნივერსიტეტის მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და სტუდენტებისთვის შეთავაზებული მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამები (სერვისები), რაც უზრუნველყოფს ზემოხსენებული ფასეულობების მატარებელი პროფესიონალის აღზრდას.

სტუ თანასწორობის პრინციპს სწავლებისა და მეცნიერების ხარისხის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად/მაჩვენებლად განიხილავს. თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, დისკრიმინაციის აღმოფხვრა და მრავალფეროვნების პატივისცემის კულტურის დანერგვა უმნიშვნელოვანეს საფუძველს ქმნის ამ პრინციპების განსახორციელებლად კვლევაში, სწავლებაში და უნივერსიტეტის მართვაში.

სტუ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით ეკიდება და სრულად იზიარებს „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა“ და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ ძირითად დებულებებს, რომლის მიხედვით

დემოკრატიული ღირებულებების ფუნდამენტური უფლებები უნდა ვრცელდებოდეს ყველა ადამიანზე განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსისა, ეროვნული და სოციალური წარმომავლობისა, წოდებრივი და ქონებრივი ცენზისა. ამასთან, **უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ადამიანი სარგებლობდეს განათლების მიღების უფლებით.** შესაბამისად, სტუ დიდ ძალისხმევას დებს სტუდენტებისათვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი **გენდერულ თანასწორობასა და ოჯახის ღირებულებაზე** ორიენტირებული, ღია, ინკლუზიური და ინტერკულტურული დაწესებულებაა, რომელიც თავისი წევრების მრავლფეროვნებას პროდუქტიულ რესურსად განიხილავს და უპირისპირდება ყოველგვარი სახის დისკრიმინაციას, პიროვნული თუ სოციალური მახასიათებლების საფუძველზე. უნივერსიტეტი ორიენტირებულია სტუდენტებსა და უნივერსიტეტის პერსონალის ხელშემწყობი პირობები და მოტივაციის მიმცემი სამუშაო გარემო შეუქმნას, ამდენად, ის წინ აღუდგება ყოველგვარი სახის დისკრიმინაციას, რომელიც ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, რელიგიისა თუ მსოფლმხედველობის, ასაკის, სპეციალური საჭიროებებისა თუ გენდერული იდენტობის ნიადაგზე შეიძლება იქნას წარმოშობილი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი **აღიარებს გენდერული თანასწორობის პრინციპს, როგორც ფუნდამენტურ ფასეულობას.** იგი მხარს უჭერს აღნიშნული პრინციპის დაცვას და გამოხატავს მისი განხორციელების ვალდებულებას უნივერსიტეტის გენდერული თანასწორობის გეგმაში.

სტუ მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს **უნივერსიტეტის თანამშრომელთა კორპუსთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებს.** ამასთან, მაქსიმალურად ზრუნავს, რომ დაუყოვნებლივი რეაგირება მოახდინოს ადმინისტრირების პროცესში შესაძლო ავტოკრატიულ შემთხვევებსა და ცალკეულ გადაცდომებზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც სოციალური საკითხების მოგვარებაში ჩართული ინსტიტუცია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შეზღუდული შესაძლებლობების და ქრონიკულად დაავადებული სტუდენტების (მათი ოჯახების), თანამშრომლების, საჭიროებებსა და მოთხოვნებს. შექმნილია ინკლუზიური განათლების გუნდი. უნივერსიტეტში ჩარიცხული, სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროების მქონე, სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვისა და მათზე მორგებული სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, გამოყენებული არის სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ფიქსირდება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის. ამასთან, სტუ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.